საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/199 "4" სექტემბერი 2019 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე მოსამართლის კონკურსის გარეშე დანიშვნის საკითხის ინიცირების თაობაზე

1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 37-ე მუხლისა და „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 13^1 მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ინიცირებულ იქნეს თანამდებობაზე დანიშნული მოსამართლის შესაბამისი ან ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლედ კონკურსის გარეშე, თავისი უფლებამოსილების ვადის ფარგლებში, დანიშვნის საკითხი საერთო სასამართლოებში არსებულ მოსამართლის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

ა) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა - 2 საშტატო ერთეული;

ბ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა - 4 საშტატო ერთეული;

გ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა - 3 საშტატო ერთეული;

დ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია - 2 საშტატო ერთეული;

ე) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა - 1 საშტატო ერთეული;

ვ) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია - 8 საშტატო ერთეული;

ზ) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია - 8 საშტატო ერთეული;

თ) თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგია - 7 საშტატო ერთეული;

ი) ბოლნისის რაიონული სასამართლო - 2 საშტატო ერთეული;

კ) ბოლნისის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე დმანისის მუნიციპალიტეტში - 1 საშტატო ერთეული;

ლ) გორის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია - 2 საშტატო ერთეული;

მ) გორის რაიონული სასამართლოს სისხლის სამართლოს საქმეთა კოლეგია - 1 საშტატო ერთეული;

ნ) ზესტაფონის რაიონული სასამართლო - 1 საშტატო ერთეული;

ო) ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე თერჯოლის მუნიციპალიტეტში - 1 საშტატო ერთეული;

პ) ზუგდიდის რაიონული სასამართლო - 1 საშტატო ერთეული;

ჟ) ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე მესტიის მუნიციპალიტეტში - 1 საშტატო ერთეული;

რ) ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში - 1 საშტატო ერთეული;

ს) ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე წალენჯიხის მუნიციპალიტეტში - 1 საშტატო ერთეული;

ტ) ოზურგეთის რაიონული სასამართლო - 2 საშტატო ერთეული;

უ) საჩხერის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე ჭიათურის მუნიციპალიტეტში - 1 საშტატო ერთეული;

ფ) ფოთის საქალაქო სასამართლო - 1 საშტატო ერთეული.

2. აღნიშნულ თანამდებობებზე დანიშვნის მსურველ მოსამართლეთა მიერ განაცხადების წარდგენა განხორციელდეს 2019 წლის 5 სექტემბრიდან 11 სექტემბრის ჩათვლით.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი